



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)**

სსიპ ქალაქ სამტრედიის №12 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლიკა ხვედელიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის
ექსპერტი

წევრები:

დალი თურმანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

მარინე ვაჩიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

შორენა ტყემალაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

მარინე შანშიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

მარიამ ჩიკვაძე-კეჭაყმაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

შორენა ბადურაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ლია ცერცვაძე-ცუცქირიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

მიმოზა ტყეშელაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ვლადიმერ უშიკიშვილი- სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნათია კურტანიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ სამტრედიის №12 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	238755717

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი სამტრედია
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი სამტრედია, მშვიდობის ქ#1
საფოსტო ინდექსი	3900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Samtredia12@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	არ აქვს



--	--

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება MES 2 24 0000748967 25.06.2024
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	22-23 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	ქალაქი სამტრედია, მშვიდობის ქ#1 სკოლა მოიცავს 4 შენობას ერთ მისამართზე.

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	ქალაქი სამტრედია, მშვიდლობის ქ#1 სკოლა მოიცავს 4 შენობას ერთ მისამართზე.
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	ქალაქი სამტრედია, მშვიდლობის ქ#1 სკოლა მოიცავს 4 შენობას ერთ მისამართზე.

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ჯგუფის თავჯდომარე სკოლის მასალების მიღებისთანავე, ელექტრონული ფოსტის საშუალებით დაუკავშირდა ჯგუფის წევრებს, ჩანიშნა ონლაინ შეხვედრა teams-ში. შეხვედრის დროს გადანაწილდა ფუნქციები, მეორე სტანტარტზე მუშაობა დაევალა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტს, ხოლო პირველ, მესამე, მეოთხე სტანდარტზე მუშაობა ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარეს. დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის მიღების შემდეგ გაიმართა მეორე შეხვედრა, დოკუმენტაციის განხილვის მიზნით. ექსპერტები შეთანხმდნენ ვიზიტის დღეს საგნობრივი ექსპერტებისა და მასწავლებლების ონლაინ შეხვედრის განრიგზე.

აღსანიშნავია, რომ სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ისეთი დოკუმენტები რომელიც თვითშეფასთან ერთად არ ჰქონდა წარმოდგენილი.

საგნობრივი ექსპერტების მიერ წარმართული გასაუბრების პროცესი სკოლის კათედრების წევრებთან წარიმართა გეგმის შესაბამისად. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი საგნობრივ ექსპერტებთან ერთად ესწრებოდა ქართულის, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლებთან შეხვედრებს და აქტიურად იყო ჩართული ინტერვიუს პროცესში.

ვიზიტის დროს საგნობრივი ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები კურიკულუმის ჩარჩოსთან დაკავშირებით მასწავლებლებმა გაითვალისწინეს და გასწორებული სახით წარმოადგინეს ვიზიტის შემდგომ დამატებით დოკუმენტაციაში.

სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების, სასკოლო დოკუმენტაციისა და გარემოს შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა გამოთქვამს მზაობას ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამის დონეზე დასაკმაყოფილებლად, სკოლაში არის

პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო, რაც დადებითად აისახება სასკოლო ცხოვრებაზე, ასევე მათ გაცნობიერებული აქვთ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები და მზად არიან იმუშაონ სუსტი მხარეების დასაძლევად.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



პერსონალის მართვა	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ლონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
		ექსპერტთა ჯგუფი მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას ეთანხმება იმ



რაოდენობა: 650	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	შემთხვევაში თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება სწავლებას განახორციელებს ორ ცვლაში.
-------------------	--	---

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრული
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა -მეტწილად შეესაბამება
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილად შეესაბამება

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი



სტანდარტი N3	სასწავლო პროცესი ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) საბაზო	ხარვეზი



V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) საბაზო	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას არ აქვს სტანდარტის შესაბამისად მოწყობილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო ლაბორატორიული ხელსაწყოები. (იხილეთ დანართი საბუნებისმეტყველო 1.2) სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა/აღჭურვა 28.05.2025

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) საშუალო	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას არ აქვს სტანდარტის შესაბამისად მოწყობილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო ლაბორატორიული ხელსაწყოები. (იხილეთ დანართი საბუნებისმეტყველო 1.3) სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა/აღჭურვა 28.05.2025
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ	სკოლამ უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში 01.06.2025წ.



	ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით	სპორტი: სასურველია სკოლამ შეიძინოს დამატებითი სპორტული ინვენტარი პროცესის აქტიურად წარმართვისათვის



	განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სპორტი: სასურველია მასწავლებელმა სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაოს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	ტექნოლოგიები: უმჯობესია შემუშავებული იყოს ყველა კლასისთვის კურიკულუმის ერთნაირი ჩარჩო, სასურველია კლასების მიხედვით შეირჩეს მრავალფეროვანი სასწავლო თემები და საკითხები, ყველა სამიზნე ცნებების გასააზრებლად.
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	საბუნებისმეტყველო: მიეცათ რჩევა, დაწყებით საფეხურზე თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს. (იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით). კურიკულუმის ჩარჩოში შერჩეულ კომპლექსურ დავალებებში ჩასწორდეს სამიზნე ცნებები.
ინდიკატორი 2.1.2.3	ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით	საბუნებისმეტყველო: რჩევა--სასურველია, მე-3 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში დაკონკრეტდეს ძირითადი რესურსის/სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორთა ჯგუფი და გამომცემლობა. აგრეთვე სასურველია, მე-4 კლასის კურიკულუმში მითითებული იყოს ძირითადი რესურსის/სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორთა ჯგუფი.
ინდიკატორი	საგნობრივი კურიკულუმით	საზოგადოებრივი: რჩევა: „საგანი მე და საზოგადოება „სასურველია, რომ



2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	ყველა თემაში მოხდეს ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. თემის ფარგლებში სრულად, ამომწურავად გაიწეროს შესასწავლი საკითხები. კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების პირობა მოცემული იყოს ნათლად და მკაფიოდ. ელ. რესურსებისთვის მიეთითოს ბმულები, მიეთითოს ძირითადი რესურსის/სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორთა ჯგუფი. შემოქმედებითი პროდუქტების შერჩევისას გაითვალისწინეთ ისეთი შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც იქნება დროში მიზნობრივად განხორციელებადი, შედეგთან შესაბამისი. „შექმენი მკითხველთა კლუბი“, გაცილებით დიდ დროს მოითხოვს, ასევე ინდივიდუალური წვლილი მოსწავლეების სავარაუდოდ ნაკლებად გამოჩნდება“
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	საზოგადოებრივი: რჩევა: აქტივობების დაგეგმვისას შესთავაზეთ მოსწავლეებს მრავალფეროვანი პროდუქტები, მულტიმედიური რესურსები, წყაროები, სტატიიდან ამონარიდები, რეალური მაგალითები სასკოლო ცხოვრებიდან.
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	საზოგადოებრივი: რჩევა: სასურველია საგნობრივ კურიკულუმში საბოლოო პროდუქტის მოსწავლეებისთვის შეთავაზებისას გაითვალისწინონ დიფერენცირებული მიდგომა. მაგ: მოსწავლეებმა შექმნან საინფორმაციო პოსტერი ან ვიდეორგოლი, მიეცით არჩევანის საშუალება.
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმში წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	მათემატიკა: რჩევა---სასურველია, რომ 1- ლი, მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმებში მითითებული იყოს ძირითადი რესურსის/სახელმძღვანელოს ავტორი, გამომცემლობა. მე-3 კლასის კურიკულუმში, კერძოდ, თემაში „გამრავლება, გაყოფა“, კომპლექსური დავალების იდეა ჩამოყალიბდეს დავალების პირობის სახით (ამ ეტაპზე რეფლექსიური ფორმატისა) და აღნიშნული დავალების



		განხორციელებისათვის საჭირო რესურსებში მიეთითოს ძირითადი რესურსის/სახელმძღვანელოს გამომცემლობა, ავტორი/ავტორთა ჯგუფი, შესაბამისი გვერდები, მოსწავლის რეგულის შესაბამისი გვერდები და სავარჯიშოების ნომრები.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.	ესთეტიკა: მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში თითოეულ თემას/საკითხს მიეთითოს შესაბამისი საათობრივი დატვირთვა;
ინდიკატორი 2.1.2.2	სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	ესთეტიკა: კურიკულუმებში მიეთითოს საგნებისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის ფარგლებში საათების სემესტრული განაწილება.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო	სპორტი: პედაგოგს მიეცა რჩევა, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაოს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო



	გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	თემის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	საზოგადოებრივი: რჩევა: სასურველია საგნობრივ კურიკულუმში საბოლოო პროდუქტის მოსწავლეებისთვის შეთავაზებისას გაითვალისწინონ დიფერენცირებული მიდგომა . მაგ: მოსწავლეებმა შექმნან საინფორმაციო პოსტერი ან ვიდეორგოლი, მიეცით არჩევანის საშუალება.
ინდიკატორი 2.2.2.2	დამხმარე სასწავლო რესურსი (არსებობის შემთხვევაში) არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	საზოგადოებრივი: რჩევა: კათედრის ერთობლივი შეთანხმებით რესურსების ბაზა დააღაგონ კლასების , თემების საგნების მიხედვით კურიკულუმთან კავშირში. გამოიყენეთ სამინისტროს მიერ რეკომენდირებული ვებ. გვერდები. ასევე, დამატებით რესურსად გამოიყენონ გრიფირებულ სახელმძღვანელოებში მითითებული დამატებითი რესურსების ნუსხა.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას;	ესთეტიკა: მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში თითოეულ თემას/საკითხს მიეთითოს შესაბამისი საათობრივი დატვირთვა;

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	რჩევა
---------------------	--	--------------



ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სპორტი: პედაგოგს მიეცა რჩევა, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაოს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	საზოგადოებრივი: რჩევა : სასურველია საგნობრივ კურიკულუმში საბოლოო პროდუქტის მოსწავლეებისთვის შეთავაზებისას გაითვალისწინონ დიფერენცირებული მიდგომა . მაგ:მოსწავლეებმა შექმნან საინფორმაციო პოსტერი ან ვიდეორგოლი , მიეცით არჩევანის საშუალება.
ინდიკატორი 2.2.2.2	დამხმარე სასწავლო რესურსი (არსებობის შემთხვევაში) არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	საზოგადოებრივი: რჩევა : კათედრის ერთობლივი შეთანხმებით რესურსების ბაზა დააღაგონ კლასების , თემების საგნების მიხედვით კურიკულუმთან კავშირში. გამოიყენეთ სამინისტროს მიერ რეკომენდირებული ვებ გვერდები. ასევე, დამატებით რესურსად გამოიყენონ გრიფირებულ სახელმძღვანელოებში მითითებული დამატებითი რესურსების ნუსხა.
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმში წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	მათემატიკა: რჩევა--სასურველია, მე-10 კლასის კურიკულუმში მითითებული იყოს ძირითადი რესურსის/სახელმძღვანელოს ავტორი, გამომცემლობა.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას;	ესთეტიკა: მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში თემას/საკითხს მიეთითოს შესაბამისი საათობრივ დატვირთვას.



ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	სახელმწიფო ენა რჩევები: <i>I კლასის ანბანის შემდგომი პერიოდის თემები გაიწეროს სრულად;</i> <i>I-III კლასების კურიკულუმში, სასწავლო რესურსებში მიეთითოს ძირითადი რესურსის-სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორები, შესაბამისი გვერდები, აგრეთვე, მოსწავლის რეგულარული გვერდები და სავარჯიშოების ნომრები, მიეთითოს ელ.რესურსების ბმულები;</i> <i>III კლასის კურიკულუმში გაიწეროს სამიზნე ცნებები, კონტექსტმაგალითები და დავალების განხორციელებისთვის საჭირო რესურსები.</i>
-----------------------	--	--

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა



ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	სკოლას მიეცა რჩევა აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
ინდიკატორი N3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	სკოლას მიეცა რჩევა - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 33) შესაბამისად, დანიშნოს ან განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.
ინდიკატორი N.. 3.6.2.1.	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;	სკოლას მიეცა რჩევა დირექტორის გამოცემული ბრძანებები მოყვანილ იქნეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისობაში. კერძოდ აკლია „ბ“ ქვეპუნქტით



		გათვალისწინებული მოთხოვნა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო”. ასევე სკოლამ უზრუნველყოს დირექტორის გამოცემული ბრძანებების შექმნისას მოქმედი კანონმდებლობით სარგებლობა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	რჩევა
ინდიკატორი N...		

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს წინამდებარე დასკვნაში ასახულ პოზიციას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ სამტრედიის N12 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლამ მისია და ხედვა წარმოადგინა 7 წლიან სტრატეგიულ გეგმაში. სკოლის მიერ თვითშეფასების კითხვართან ერთად წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სკოლა მუშაობდა მისია, ხედვა, ღირებულებების რევიზიაზე. აღნიშნული ინტერვიუს დროსაც დადასტურდა. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს მისია, ხედვა, ღირებულებები. სკოლის მისია ასახავს სკოლის ძირითად დანიშნულებას, კერძოდ, როგორი გარემო უნდა შექმნას და რა ღირებულებებით, ცოდნითა და უნარ-ჩვევებით უნდა აღჭურვოს მოსწავლე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მისიასა და ხედვაში გაცხადებული მიზნები სასკოლო საზოგადოებას უქმნის ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური უსაფრთხოების განცდას. ასევე სკოლას წარმოაჩენს როგორც პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. მისიის მიხედვით სასკოლო საზოგადოება ქმნის გარემოს, სადაც მოსწავლის უწყვეტ განვითარებაზე შეთანხმებულად ზრუნავს მის აღზრდა-განათლებაში ჩართული ყველა პირი; სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა, აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის საჭირო ტექნოლოგიური და მატერიალური რესურსით, ჰყავს სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის საჭირო კვალიფიციური ადამიანური რესურსი. სკოლაში აქტიურად იმართება კონფერენციები, სამუშაო შეხვედრები, ვებინარები, მასტერკლასები, პროექტები. სკოლის ახლად აშენებული შენობა ადაპტირებული გარემოს მეშვეობით, შეზღუდული შესაძლებლობების პირებსაც, თავისუფლად, ყოველგვარი შეფერხების გარეშე აძლევს გადაადგილების, განათლების მიღებასა და საკუთარი შესაძლებლობების სრულად რეალიზების შესაძლებლობას. სკოლას აქვს სრული მხარდაჭერა, როგორც მატერიალური, ასევე ადამიანური რესურსების კუთხით, რაც მას გაუადვილებს სამომავლოდ შემუშავებული ნებისმიერი მისიისა თუ ხედვის შესრულებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დირექტორის 2024 წლის 24 აპრილის #2-43 ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან როგორც მასწავლებლები (კათედრის წარმომადგენლები), ყველა საფეხურის მშობელი, მოსწავლე, ადგილობრივი რესურსცენტრისა და თემის წარმომადგენელი. ჯგუფის წევრები მოქმედებდნენ სკოლის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელშიც გაწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სკოლის ფილოსოფიის, გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარებისა და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმები. ჯგუფის წევრებმა შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა. კლასის დამრიგებლებმა მშობლებთან ჩაატარეს შეხვედრები. დოკუმენტების პროექტები განთავსებული იყო სასკოლო სივრცეში. მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ, სკოლამ რევიზია გაუკეთა მისია, ხედვა, ღირებულებებს და ასევე შეიმუშავა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ შემუშავებული მისია, ხედვა, ღირებულებები წარმოდგენილია შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე. რევიზირებული მისია, ხედვა, ღირებულებები ასევე შეტანილი იქნება 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაშიც. დოკუმენტის გადახედვის პროცესში ჩართულობა და მათი მხრიდან აღნიშნულ საკითხებში ინფორმირებულობა იძლევა იმის საშუალებას აღვნიშნოთ, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სრულად გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე skolebi.emis.ge, ასევე საჯაროდ - სკოლის შემოსასვლელ ფოიეში. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილია ის საშუალებები და სქემა, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის გაზიარებისთვის:

- ა) სკოლის ვებგვერდი;
- ბ) ელექტრონული ფოსტა;

გ) პორტალი ვებგვერდზე;

დ) საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან;

ე) ბექდვითი მასალები;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. დაწესებულების დასახელება - სსიპ - ქალაქ სამტრედიის N12 საჯარო სკოლა - განსაზღვრულია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. სამეურვეო საბჭოს ოქმი;
3. პედსაბჭოს ოქმი;
4. სკოლის ვებ-გვერდი;
5. საჯარო რეესტრის ამონაწერი;
6. სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
7. სამუშაო ჯგუფის ოქმები;
8. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
9. დამრიგებლის ოქმი
10. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია დამტკიცებულია სკოლის დირექტორის #2-48 ბრძანებით, 16.05. 2024 წ. მასში აღწერილია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესები:

- ✓ მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების/გაზიარების/ დამტკიცების;
- ✓ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების/გაზიარების/ დამტკიცების;
- ✓ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი;
- ✓ მისია, ხედვა, ღირებულებების, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმებში ცვლილებების შეტანის პროცესი;
- ✓ სტრატეგიული გეგმის ანგარიშისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესი;

სტრატეგიული დაგეგმვისას სკოლა იცავს თანამონაწილეობის, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს. სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების

პროცესში ჩართული არიან შემდეგი მხარეები: სასკოლო საზოგადოება (სკოლის დირექცია, თანამშრომლები, მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, თემისა და რესურსცენტრის წარმომადგენლები. დირექტორი მიერ შექმნილი ჯგუფი სამოქმედო გეგმის პირველ ეტაპზე იწყებს ინფორმაციის შეგროვებას, სასკოლო დოკუმენტაციის დამუშავებასა და ანალიზს, ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პირველი საფეხურის დასრულების შემდგომ, მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად სტრატეგიული მიზნებსა და ამოცანებზე დაყრდნობით ხდება პრიორიტეტების იდენტიფიცირება და შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების პროექტების ფორმირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს შვიდწლიანი 2024-2031 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის # 9 ოქმით. სტრატეგიულ გეგმაში გაცხადებულია სამი სტრატეგიული მიმართულება: დემოკრატიული მმართველობის პრინციპების განვითარება, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სასკოლო საზოგადოებასთან (თემთან) ურთიერთობის გაუმჯობესება. სტრატეგიული გეგმა მოიცავს სტრატეგიული მიმართულებების შესაბამის ამოცანებს, რომლის შესრულებაც გაწერილია სასწავლო წლების მიხედვით. გეგმაში გაწერილია ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებიც. სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმის მიზნები თანხვედრაშია სკოლის მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც სკოლამ წარმოადგინა პირველად დოკუმენტაციაში თვითშეფასების განაცხადთან ერთად არ მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას, მაგრამ ვიზიტზე სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. სკოლის ახალი 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა თანხვედრაშია შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 16 ივლისის #9 ოქმით მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას. სკოლაში მომუშავე სამუშაო ჯგუფს გააზრებული აქვთ სტრატეგიული გეგმის შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების მნიშვნელობა. სამოქმედო გეგმის სრულყოფილი სახით შედგენისას სკოლა გაითვალისწინებული აქვს სტრატეგიული მიზნები და ამოცანები და ასევე გათვალისწინებულია ყოველწლიური თვითშეფასების შედეგები. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობებს, შესრულების ინდიკატორებს, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებსა/სტრუქტურულ ერთეულებს, შესაბამის რესურსებსა და დასახული მიზნების რეალიზების ვადებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი
2. სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება
3. პედ. და სამეურვეო საბჭოს ოქმები
4. 2024-2025 სასწავლოსწლის სამოქმედო გეგმა
5. შვიდწლიანი 2024-2031 წლების სტრატეგიული გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიის, ხედვის, ღირებულებების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტის მიხედვით სკოლა მონიტორინგს გემატს წელიწადში ორჯერ იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია არაგეგმიური მონიტორინგის ჩატარება. მონიტორინგი მოიცავს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენას, შეგროვებული მონაცემების გაანალიზებასა და შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრას. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანაც. სკოლის პერსონალთან ინტერვიუმაც დაგვარწმუნა, რომ თანამშრომელთა მხრიდან წარმოდგენილი ანგარიშებს სკოლა იყენებს მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განსაზღვრული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება. ამავე დოკუმენტის მიხედვით სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასების შედეგები გაზიარდება დაინტერესებულ პირებთან მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით. ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძვლად დაედო 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების საჯაროობას სკოლის ვებ გვერდზე გამოქვეყნებით. ასევე გასაჯაროების მექანიზმებად წარმოდგენილია შედეგების ელექტრონული ფოსტით, საჯარო ღონისძიებებზე ორმხრივი კომუნიკაციით. დოკუმენტი მოიცავს ასევე ინფორმაციის გაზიარების სქემას. სკოლა გამოთქვამს მზაობას, რომ სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო

გეგმის განხორციელების შედეგები იქნება საჯარო, ყველა ზემოთ აღნიშნული მექანიზმის გათვალისწინებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. მეთოდოლოგიით ასევე განსაზღვრულია, რომ სტატეგიულის გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძველად დაედება შემდგომი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს გაიმოიკვეთა, რომ სკოლმ SWOT ანალიზზე და გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით შეიმუშავა სტატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი
2. გასული წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
3. გასული წლის დირექტორის ანგარიში
4. 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
5. შვიდწლიანი სტატეგიული გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაწვრილებით არის გაწერილი სკოლის დირექტორის 2024 წლის 16 მაისის #2-51 ბრძანებით. დოკუმენტში წარმოდგენილია თუ რომელი კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედებს თითოეული სტრუქტურული ერთეული, ამავე დოკუმენტში ვკითხულობთ საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და მათ ფუნქცია მოვალეობებს. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, სკოლის დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი; ხოლო კანონმდებლობისა და სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე სკოლაში დამატებით ფუნქციონირებს შემდეგი კოლეგიალური ორგანოები: მრჩეველთა საბჭო, კათედრები, ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი. თითოეული დასაქმებულის ფუნქცია დაწვრილებით არის გაწერილი შრომით ხელშეკრულებებში: დასაქმებული და დამსაქმებლის უფლება-მოვალეობები, შვებულებისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი; ხელ-ბის ვადა და სხვა პირობები. სტრუქტურული ერთეულები, რომ თავის ფუნქციებს სრულყოფილად ასრულებენ სკოლის მიერ გადმოგზავნილი მათი შეხვედრის ოქმები და ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუ ცხადყოფს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. თითოეული სტრუქტურა არჩეულია /შექმნილია კანონმდებლობის შესაბამისად, მათი კოორდინირებული მუშაობა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას. სკოლის თითოეული სტრუქტურული ერთეული პასუხისმგებელია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებზე. სტრუქტურული ერთეულების მართვის ეფექტიანობა დაფუძნებულია ანგარიშგების პრინციპზე. სტრუქტურულ ერთეულებს შექმნილი აქვს დროში გაწერილი სამოქმედო გეგმა. ყველა სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელობს დემოკრატიული მართვის პრინციპებით და გადაწყვეტილებებს იღებენ არგუმენტირებულად. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და თანამშრომელთა ფუნქცია მოვალეობები დამატებით გაწერილია სკოლის ფუნქციონირების მარეგულირებელ დოკუმენტებში. მათი

კოორდინირებული მუშაობა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს უზურუნველყოფას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ფუნქცია მოვალეობების ინსტრუქციები;
2. დასაქმებულთან გაფორმებული ხელშეკრულებები
3. სკოლის სტრუქტურა - სქემა
4. სტრუქტურული ერთეულების ოქმები
5. თანამშრომელთა პირადი საქმეები
6. სასკოლო სასწავლო გეგმა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 11 სექტემბრის #1 სხდომაზე. პოლიტიკის მიზანია: სკოლის პერსონალის მართვა, სკოლის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად დასაქმებულთა მუდმივი განვითარება მაღალკვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადების მიზნით,სკოლის მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა, სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების მიზნით წახალისების სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება, სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვა, პერსონალის საჭიროებათა უზრუნველსაყოფად სკოლის შესაძლებლობების ანალიზი და შეფასება, ანალიზის შედეგად საჭიროების დადგენის შემთხვევაში გაუმჯობესების გზების დასახვა და განხორციელება. დოკუმენტში გაწერილია თანამშრომელთა სოციალიზაციის წესიც.

სკოლაში ვიზიტის დროს გადამოწმდა ყველა თანამშრომლის პირადი საქმე, ასევე მათი პროფილი eschool-ის ბაზაში. ყველა თანამშრომელი აკმაყოფილებს მისი თანამდებობისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მასწავლებლების მიღება ხდება კონკურსის წესით სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვით, სკოლის თანამშრომლები მაქსიმალურად უწყობენ ხელს ახალი კადრების ადაპტაციას და წინსვლას; ახალი თანამშრომელი ეცნობა სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებს, ესწრება კოლეგებს გაკვეთილებზე, ერთვება ყველა პროცედურაში, რაც მის საქმიანობას უკავშირდება; გაცნობა ხდება არაფორმალურ გარემოშიც. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა პერსონალს მუდმივი განვითარების შესაძლებლობას უქმნის, აღიარებს მის წარმატებას, ეს გარკვეულწილად ხელს უწყობს მასწავლებლების ტრანზიციას, მათ კარიერულ წინსვლას. სკოლას აქვს ასევე სტაჟიორის მიღების პრაქტიკაც. ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის ინტერვენციული და პრევენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა სკოლის მიერ შემუშავებულ რამდენიმე დოკუმენტს ეფუძნება: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება, რომლის მიზანია სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და

პროფესიული განვითარება, შინაგანაწესი. აღნიშნული დოკუმენტები და მკაფიოდ ჩამოყალიბებულია ფუნქცია-მოვალეობები სწორედ პრევენციული პოლიტიკის ნაწილია. პერსონალი აქტიურად არის ჩართული როგორც დებულებებისა და წესების შემუშავების პროცესში, ისე სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მუშაობაში, ეს გარკვეულწილად პრობლემების პრევენციას ახდენს.

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტებით დადგენილი მექანიზმები კი პრობლემების დროულ იდენტიფიცირებას უწყობს ხელს, რადგან დადგენილია ადამიანური რესურსები შეფასების კრიტერიუმები, ვადები, შექმნილია დაკვირვებისა და გამოკითხვის ფორმები. შესაბამისად, სკოლა მზად არის პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში მყისიერი ინტერვენციისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში პერსონალის მიღება ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპის, კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. სკოლაში ყველა ახალი კადრი შერჩეულია კანონმდებლობის სრული დაცვით და მათი მიღება ემყარება სკოლის საჭიროებებს. სკოლა ვაკანსიის გამოცხადებისას ეყრდნობა სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, კანონს „ზოგადი განათლების შესახებ“, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს #174/ნ ბრძანებასა და შრომის კოდექსს. კონკრეტული ვაკანსიისთვის კი შეიმუშავებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; კონკურსების გამოცხადების, ჩატარებისა და გასაჩივრების წესი და ვაკანსიასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია არის გამჭვირვალე. გარე კონკურსის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საიტზე <https://teacherjobs.ge/>, ხოლო შიდა კონკურსი შესახებ - სკოლაში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; სკოლის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლის პერსონალი კი სრულად აკმაყოფილებს დებულების მიხედვით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლას ყველა დასაქმებულთან აქვს გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებები. ყველა თანამშრომლის პირადი საქმე წესრიგშია და შეიცავს საჭირო დოკუმენტებს. მათი პროფილი სრულად შევსებულია eschool- ის ბაზაშიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, სკოლას საჭიროებიდან გამომდინარე შექმნილი აქვს ხარისხის განვითარების ჯგუფი. სტრუქტურულ ერთეულებში მაქსიმალურად არის პასუხისმგებლობები გადანაწილებული, ყველა სტრუქტურა გადაწყვეტილებებს იღებს გუნდურად და მასში გაერთიანებული თითოეული წევრი მაქსიმალურად მონაწილეობს კონკრეტული აქტივობებისა და პროცედურების განხორციელებაში. დირექციისა და ადმინისტრაციის მხრიდან ყველა ინფორმაცია დროულად მიეწოდება სტრუქტურებს, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე დირექცია კონსულტაციებს გადის შესაბამის სტრუქტურასთან. გუნდური მუშაობისა და მაღალ ორგანიზაციულ კულტურაზე მეტყველებს კურიკულუმზე და სტრატეგიულ გეგმებზე მუშაობის პროცესიც, რომელიც არის კათედრების, პედ. და სამეურვო საბჭოების, დირექციის, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და მშობლების აქტიური ჩართულობით. სკოლა უზრუნველყოფს ყველა თანამშრომელის საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში. კათედრის წევრები ფორმალურ თუ არაფორმალურ შეხვედრებზე განიხილავენ და მსჯელობენ ერთობლივად სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში(მუხლი 21). ჩამოთვლილი მოტივაციის სახეები: წახალისება და აღიარება. მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს:

- ✓მადლობის გამოცხადება;
- ✓სიგელის გადაცემა;
- ✓ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

✓ ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

სკოლა თანამშრომელთა წარმატებულ მიღწევებს ან აქტივობებს ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. თანამშრომელთა წარმატებული საქმიანობის აღიარებისა და გაზიარების მიზნით ტარდება ერთობლივი შეხვედრა. სოციალურ ქსელში სკოლის fb გვერდზე ქვეყნდება ინფორმაცია და ა.შ. წარმატების აღიარება ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომელთა მოტივაციისა და ერთიანობის განცდისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის fb გვერდი
2. შინაგანაწესი
3. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
4. Eschool-ის ბაზა
5. თანამშრომელთა პირადი საქმეები
6. კონკურსის მასალები
7. ხარისხის ჯგუფის დებულება
8. სტრუქტურული ერთეულების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიზნით სკოლას აქვს შემუშავებული სკოლის ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. . დებულებით განსაზღვრულია, რომ ჯგუფის წევრების შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს დირექტორი, ასევე დოკუმენტში ვკითხულობთ ხარისხის ჯგუფის მიზანს, წევრების უფლება-მოვალეობებსა და საქმიანობას.

ზემოთ აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე ხარისხის ჯგუფის წევრების მხრიდან სისტემატურად მიმდინარეობდა საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგი, გაკვეთილზე დასწრება, მასწავლებლებისთვის შესაბამისი უკუკავშირის მიცემა, მათ საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების გავლა, კოლეგის წარმატებული პრაქტიკის გაზიარება. სკოლა ჩართულია USAID -ის დაწყებითი განათლების პროგრამაში. გადამზადებული მასწავლებელი უზიარებს კოლეგებს მიღებულ ცოდნას და გამოცდილებს და აკვირდება მიღებული ინფორმაციის პრაქტიკაში გადატანას. ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მე-20 მუხლი ეხება თანამშრომელთა პროფესიულ და კარიერულ განვითარებას. საჭიროების მიხედვით ხდება სკოლის სხვა პერსონალის განვითარებაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი სასწავლო წლის განმავლობაში ცდილობს ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრულ ვალდებულებას და მასწავლებლებს მათი სტატუსის მიხედვით დაესწროს შესაბამისი რაოდენობის გაკვეთილებზე. დაადგინოს საჭიროება და საჭიროების გადაჭრის გზა/გზები. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ სხვადასხვა სასწავლო აქტივობების მაგალითებს, შესაძლებლობის მიხედვით ესწრებიან საგნობრივი ქოუჩების სამუშაო შეხვედრებს. მასწავლებლების განმარტებით, სკოლის ადმინისტრაცია მაქსიმალურად უჭერს მხარს, მათ ჩართულობას პროფესიული განვითარების აქტივობებში. ასევე სხვა პერსონალის შემთხვევებშიც, საჭიროების შესაბამისად ხდება მათი გადამზადება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა პერსონალს მუდმივი განვითარების შესაძლებლობას უქმნის, აღიარებს მის წარმატებას, ეს ხელს უწყობს მასწავლებლების ტრანზიციასა და მათ კარიერულ წინსვლას. სკოლა ხელს უწყობს ახალგაზრდა პროფესიონალი კადრების დასაქმებასა და მათ კარიერულ ზრდას. პერსონალის კარიერული ზრდისათვის სკოლა ქმნის შესაბამის პირობებს. სკოლა აღჭურვილია მაღალი ხარისხის კომპიუტერული ტექნიკით, ელექტრონული და მატერიალური რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლის პერსონალისათვის. იდენტიფიცირებული აქვთ საჭიროებები, რისთვისაც გამოყოფილი აქვთ ფინანსური რესურსი. სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლისთვის პროფესიული საჭიროებების განვითარების გზების მოძიებას და შეთავაზებას როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე სკოლის გარე სერვისებით. უწყვეტად მიმდინარეობს საგაკვეთილო დაკვირვებების ციკლი, განმავითარებელი უკუკავშირის მიცემით. მასწავლებლები აკეთებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების საფუძველზე და მათი საჭიროებების შესაბამისად ახორციელებენ ინტერვენციებს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლაში შექმნილია პოზიტიური გარემო თანამშრომელთა სამუშაო პროცესში ინტეგრაციისათვის. ეს პროცესი რომ ინტეგრირებულია, ჩანს სკოლაში განხორციელებულ პროექტებში, ღონისძიებებში, რომლებშიც მთელი სკოლის ჩართულობა იგრძნობა. სკოლაში აქვთ ახალი თანამშრომლის ტრანზიციის კულტურა და პრაქტიკა, ასევე შემუშავებული აქვთ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მე-18 მუხლი ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას.

ახალმიღებულ თანამშრომლებთან და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუმაც დაადასტურა, რომ თანამშრომლების ადაპტაცია წარმატებით მიმდინარეობს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის განვითარების ხელშეწყობისთვის სკოლა იყენებს როგორც გარე, ისე შიდა რესურსებს. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა მუდმივად იკვლევს პერსონალის საჭიროებებს, შესაბამისად გეგმავს მათი პროფესიული განვითარების აქტივობებსაც. მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის სკოლა თანამშრომლობს სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან: განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსა და მასში შემავალი სსიპ-ები, USAID და ა.შ. ყველა ინიციატივა წახალისებულია დირექციის მხრიდან, შესაბამისი აქტივობების განსახორციელებლად მასწავლებლებს აქვთ მატერიალური რესურსი. მათი საქმიანობა კი დადებითად აისახება მათ კარიერულ წინსვლაზე; საზოგადოების მხრიდან კი ისინი იმსახურებენ მაღლობას, ნდობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის ჯგუფის დებულება
2. ხარისხის ჯგუფის ოქმები
3. პერსონალისა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ფუნქცია-მოვალეობების დებულება
4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
5. პერსონალის პირადი საქმეები
6. Eschool-ის ბაზა
7. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
8. სკოლის fb გვედრი

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოგვიდგინა დირექტორის 2024 წლის 16 აპრილის #2-44 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. ასევე სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სტრატეგიული და სამექმედო გეგმები, კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია.

განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, ხდება მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმისათვის მუშაობა. გაანალიზდება მონიტორინგის შედეგები, დირექტორი კათედრებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს სასკოლო გეგმის პროექტს, რომელსაც შესათანხმებლად წარუდგენენ სამეურვეო საბჭოს და დასამტკიცებლად პედაგოგიურ საბჭოს.

სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს უწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. თუ შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გარკვეული ხარვეზებია, ან მასწავლებლები საჭიროებენ გარკვეულ საკითხზე ტრენინგის ჩატარებას ადგილობრივი რესურსით, ან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით, სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარებას და მათ პროფესიულ განვითარებას.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმებისას ხდება მისი შედარება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ აუცილებელ რესურსებთან. სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და დასახული მიზნების მიღწევისათვის, სკოლა ზრუნავს სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მატერიალური რესურსის მუდმივ განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, სკოლის თითოეული თანამშრომელი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს იმ მატერიალური და სასწავლო რესურსის ჩამონათვალს, რაც საჭიროა სკოლაში უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად და ხარისხის გასაუმჯობესებლად. სასკოლო საქმიანობის აღმწერი დოკუმენტების შინაარსის მიხედვითა და სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუს მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის მართვა მიმდინარეობს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის - დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება, რევიზიის მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტში სკოლას გაცხადებული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები და მათი აღმწერების ჩამონათვალი.

მმართველობითი პროცესებია: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა;

ძირითად პროცესებს მიეკუთვნება: კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა;

დამხმარე პროცესებია: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა) კარიერული განვითარება; სკოლას ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პროცესთან დაკავშირებით შექმნილი აქვს დოკუმენტები, რომლებშიც დაწვრილებით არის გაწერილი ფუნქცია-მოვალეობები, პასუხისმგებლობები, პროცესების მიმდინარეობა. სტრუქტურულ ერთეულებთან/პერსონალთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ დებულებებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები კანონმდებლობის სრული დაცვით მიმდინარეობს და თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებლობით ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას შემუშავებული და სკოლის დირექტორის 2024 წლის 2 აპრილის #2-33 ბრძანებით დამტკიცებული აქვს განცხადებებისა და საჩივრის განხილვის წესი. დოკუმენტში განხილულია განცხადებისა და საჩივრის შეტანის წესი, მათი განხილვის წესი და ვადები, საჩივრის განხილვის წესი დისციპლინური წარმოებისას, მასწავლებლის ვაკანსიის შედეგების გასაჩივრებას, თანამშრომელთა, მშობელთა, მოსწავლის საჩივრის განხილვას, შიდა სასკოლო გამოცდის შედეგების გასაჩივრებას. შინაგანაწესში კი ყურადღება გამახვილებულია დისციპლინური წარმოების წესზე, რომლითაც ხელმძღვანელობს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დისციპლინური კომიტეტი. დადგენილ ვადებში მიიღება გადაწყვეტილება და წერილობითი განმარტებით გადაეცემა შესაბამის პირებს. შინაგანაწესში გაწერილია გასაჩივრების მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლაში პერსონალის უფლებები და მოვალეობები გაწერილია: შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც იდება სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის. ; ხელშეკრულება, რომლის საფუძველია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 6¹ პუნქტი. აღნიშნული ხელ-ბა დაწვრილებით მოიცავს სკოლის, კანონიერი წარმომადგენლისა და მოსწავლის უფლებებსა და ვალდებულებებს.

დოკუმენტების გაცნობის ვალდებულება აქვს ყველა დასაქმებულს, ხოლო მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი სასწავლო წლის დასაწყისში ეცნობა შინაგანაწესს, გასაჩივრებისა და კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმებს, ხოლო სკოლასთან ხელშეკრულებას აფორმებს მოსწავლის პირველ კლასში შემოყვანისას ან მობილობის განხორციელებისთანავე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი,
2. სტრატეგიული გეგმა
3. განცხადებისა და საჩივრის განხილვის დოკუმენტი
4. შინაგანაწესი
5. შრომითი ხელშეკრულებები
6. მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელ-ბა
7. სასკოლო სასწავლო გეგმა
8. პროექტები
9. სკოლის ვებ გვერდი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებას სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, მათი მოსაზრებების მოსმენა/განხილვასა და საჭიროების შემთხვევაში რეაგირების აქტივობების დაგეგმვას. აღნიშნულისათვის იმართება კლასის მოსწავლეების მშობლებთან გაფართოებული კრებები (ზოგად საკითხებთან დაკავშირებით), კლასის მოსწავლეების მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები (მოსწავლის ინდივიდუალური დახასიათებისა და საჭიროების გასაცნობად) რა დროსაც ხდება ინფორმაციის გაზიარება და მოსაზრებების გაცვლა-განხილვა. შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება სკოლის ადმინისტრაციისათვის შესაბამისი პრევენციების დაგეგმვა. ინფორმირებისთვის იყენებენ სკოლის fb გვერდსა და სასკოლო სივრცეში არსებულ საინფორმაციო დაფას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლის მართვის პროცესში გამოიხატება მის წევრობაში სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში. ეს ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. სასკოლო საზოგადოებას აქვს პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობები. სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე მეტყველებს ასევე ის ფაქტი, რომ სკოლის დირექტორის მიერ მისია, ხედვა, ღირებულებებზე, სტრატეგიულ გეგმასა და სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფი დაკომპლექტებულია მშობლებითა მონაწილეობით. მშობლების აქტიურად არიან ჩართული სასკოლო

ღონისძიებებისა და ექსკურსიების ორგანიზებაში. სკოლის ასეთი მიდგომა ხელს უწყობს მშობელსა და სკოლას შორის დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რაც პოზიტიურ გავლენას ახდენს მოსწავლის წარმატებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კრების ოქმები
2. სკოლის ვებ და ფბ გვერდები
3. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების მარეგულირებელი დოკუმენტები
4. მმართველობითი კოლეგიალური ორგანოების ოქმები
5. მშობლების უკუკავშირი
6. მშობელთა კრების ოქმები
7. შინაგანაწესი

სტრუქტურული ერთეულების ოქმშეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სამეურვეო საბჭოს დამტკიცებული აქვს სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა. უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის მიზანი: ბავშვთა უფლებების დაცვა; სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება და წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება; ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა;

სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით ხორციელდება: საგანგებო სიტუაციების პრევენცია; მზადყოფნის ღონისძიებების დაგეგმვა; დისკრიმინაციის აცილება: გენდერის, რასის, ფერის, სოციალური, ეთნიკური, წარმომავლობის, ენის, რელიგიის, ან სხვა სტატუსის მიხედვით;

სკოლას ჰყავს მანდატურები, სკოლა აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო კამერებით. სკოლის ტერიტორიაზე მკაცრად არის დაცული უცხო პირების გადაადგილება. უცხო პირის შემოსვლა დირექციასთან შეთანხმების შემდეგ, ტარდება სპეციალურ ჟურნალში. სკოლაში დაწესებულია დერეფნებში მორიგეობის განრიგი, რომელსაც ასრულებენ მასწავლებლები. დამრიგებლები კი აქტიურად არიან ჩართული სადამრიგებლო კლასებთან მუშაობის პროცესში. დილიდანვე მათ აქვთ კომუნიკაცია იმ მშობლებთან, რომელთა შვილებიც არ გამოცხადდებიან სკოლაში ან/და თვითნებურად მიატოვებენ საგაკვეთილო პროცესს. ყოველ დღე დამრიგებლები დირექტორს წარუდგენენ ანგარიშს, სადაც დეტალურად არის აღწერილი გაცდენების მიზეზები. აღნიშნული ანგარიშები სკოლას ეხმარება სისტემატურად ადევნოს თვალყური მოსწავლეთა დასწრებას და დროულად მიიღოს ზომები.

ფიზიკური უსაფრთხოების კუთხით უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სკოლის ექიმი. მასთან დაცულია ინფორმაცია ყველა მოსწავლისა და პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში დროული რეაგირება ყველა ფაქტზე, რომელიც მოსწავლის ფიზიკურ უსაფრთხოებას უკავშირდება.

სკოლას შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ჰქონდა შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის წარმოდგენა 2025 წლის 15 ივნისამდე, მაგრამ ვიზიტზე დაგვახვედრა შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (თანხმობის წერილი MIA 12402028972 2024 წლის 05 ივლისი). სკოლას მიმართვა(2024 წლის 28 მაისის # MES 6240000584864) აქვს გაგზავნილი სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. სკოლას აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. უფლებამოსილმა ორგანომ განახორციელა

ვიზიტი სკოლაში და მოიკვილია სახანძრო უსაფრხოების ნორმებს რამდენად აკმაყოფილებდა სკოლა. სკოლას წარუდგინეს აქტი #230 30.0.2024. სკოლას დაწყებული აქვს აქტით გათვალისწინებული დარღვევების აღმოფხვრაზე მუშაობა. სკოლას მიეცა რჩევა აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. ვინაიდან ამ დროისთვის სკოლას არ აქვს შენობის მდგრადობის დოკუმენტი და შესაბამისობის გემით გაწერილი აქვს, რომ 2025 წლის 01 მაისამდე უზრუნველყოფს მის მოპოვებას ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში ამ დროისთვის ირიცხება 402 მოსწავლე. მათ ემსახურება ერთი ექიმი, რომელიც პროფესიით პედიატრია. ექიმის ოთახი მდებარეობს პირველ სართულზე, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას, მისი ფართობი შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტს. კაბინეტი აღჭურვილია საჭირო ინვენტარით: თბილი წყალი, სამანიპულაციო მაგიდა, ტახტი, გადასაყვანი ტახტი, მაცივარი, წამლების შესანახი კარადა, კომპიუტერი, საბუთების კარადა, სიმაღლის, წონის საზომი, შირმა და ყველა ის ინვენტარი და სამედიცინო მოწყობილობა, რასაც სკოლის ექიმის კაბინეტის სტანდარტი მოითხოვს.

ექიმის მხრიდან ყოველ დღე მიმდინარეობს სველი წერტილების ჰიგიენის შემოწმება. სკოლა სისტემატურად ახდენს წყლის სინჯის აღებას.

ექიმთან მიმართივანობა ხშირია თავის, მუცლის ტკივილებით, მცირე ტრამვებით. შესაბამისი მედიკამენტებით და მასალით ექიმი უწევს მოსწავლეებს და თანამშრომლებს პირველად დახმარებას, ეს იქნება, მედიკამენტის მიწოდება, ჭრილობის დამუშავება, ნახვევის დადება თუ შესაბამისი რჩევების მიცემა. თუ მდგომარეობა შედარებით რთულია და საჭიროებს ლაბორატორიულ და ტექნოლოგიურ კვლევებს, პირველი დახმარების გაწევის შემდეგ ხდება სასწრაფო დახმარების ბრიგადის გამოძახება.

თითოეულ მოსწავლეზე ივსება შესაბამისი ფორმა, რომელშიც აღწერილია ვიზიტი, დაავადების სიმპტომები, მკურნალობის გზები და შემდგომი რეკომენდაციები.

ექიმი აწყობს შეხვედრებს მოსწავლეებთან და ესაუბრება პირად ჰიგიენაზე, ჯანსაღ კვებაზე, მოზარდობის ასაკის თავისებურებებზე, თამბაქოს, ალკოჰოლის, ნარკოტიკის მავნებლობაზე, ვაქცინაციის მნიშვნელობაზე. ინტერვიუს დროს

ექიმმა აღნიშნა რომ ახალი სასწავლო წლისთვის უფროსკლასელებთან გეგმავს საუბრების ჩატარებას ნაადრევი ქორწინების რისკებზე. ექიმი სპეციალურ ფორმაში ავსებს დახარჯული მედიკამენტების რაოდენობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მეთოდოლოგიის მექანიზმი დაფუძნებულია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის“ წესიდან. დოკუმენტი მოიცავს: ინფორმირებულობის უზრუნველყოფას, საგანმანათლებლო და საინფორმაციო აქტივობების ჩამონათვალს, ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფას, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფას, ინფორმაციული უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმებს. სკოლაში ჩამოყალიბებულია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვასა და სკოლის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიცემას.

სკოლაში თვალსაჩნო ადგილას გამოკრულია შსს-ს, მანდატურის სამსახურისა და სახალხო დამცველის აპარატის ცხელი ხაზის ნომრები; უფლებამოსილი პირი სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში მოსწავლეებს აცნობა შინაგანაწესს, წესებს, უფლება-მოვალეობებს; საჭიროების შემთხვევაში ფსიქოსოციალური მომსახურების მიღების მიზნით მოსწავლეების გადამისამართება მოხდება მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთან და სოციალურ მუშაკთან; კოსულტაციის მიღება შეუძლიათ როგორც ტელეფონით, ისე ონლაინპორტალის befriend.mes.gov.ge საშუალებით; ასეთ შემთხვევებში დაცულია მოსწავლისა და კანონიერი წარმომადგენელი ანონიმურობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 28 მაისის #2-26 ბრძანებით. ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოების კუთხით,

განსაკუთრებული როლი აკისრიათ დამრიგებლებსა და მასწავლებლებს, სპეციალურ მასწავლებელს ისინი ასევე თანამშრომლობენ მშობლებთან.

კლასის ხელმძღვანელთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას, მათ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას, მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების მოკვლევასა და შესაბამის რეაგირებას, მშობელთა დამოკიდებულებებს და პასუხისმგებლობას შვილების მიმართ. მათი მხრიდან ხშირად იმართება პრევენციული ღონისძიებები ბულინგის საწინააღმდეგოდ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია, როგორც სკოლის შიდა ასევე გარე პერიმეტრზე.

მოწესრიგებულია სველი წერტილები. დამლაგებელი უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, სველი წერტილების, დერეფნების, კიბის საფეხურებისა და სახელოების სველი წესით დამუშავებას. სკოლის ექიმის მიერ სისტემატიურად ხდება არსებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შემოწმება. სკოლას საკმარისი ადამიანური რესურსი ჰყავს სანიტარული პირობების უზრუნველსაყოფად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის ინსტრუქცია. სკოლაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობაში აღნიშნულ ინსტრუქციასთან. მასში განმარტებულია ტერმინები, რომლებიც პერსონალური მონაცემების დაცვას უკავშირდება, გაწერილია მონაცემების და განსაკუთრებული მონაცემების დამუშავების საფუძვლები; როგორ ხდება არასრულწოვანისა და პერსონალის მონაცემების დამუშავება, განსაზღვრულია თითოეულ კატეგორიაზე პასუხისმგებელი პირები. მატერიალურად ინფორმაციის დამუშავებას ახდენს საქმისმწარმოებელი, ხოლო ელექტრონულად საინფორმაციო მენეჯერი.

მონაცემთა დამუშავებისას დაცულია შემდეგი პრინციპები: მონაცემები მუშავდება სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეულახავად; მონაცემები გროვდება მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის; მონაცემები ინახება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა

დამუშავების მიზნის მისაღწევად. მონაცემების დამუშავების პროცესი მინდინარეობს უსაფრთხოდ, მათ შორის დაცულია უსაფრთხოების ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას. სკოლას მიეცა რჩევა აიყვანოს პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლაში პერსონალისა და მოსწავლის მონაცემები მუშავდება სკოლის მიერ დამტკიცებული „პერსონალური მონაცემების წესის შესაბამისად“. სკოლის დირექტორს განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლაში თანამშრომლებისა და მოსწავლეების პირადი საქმეები დაცულია კანონმდებლობის შესაბამისად. მის შენახვასა და შესაბამისი ინფორმაციის გაცემაზე პირი არის სკოლის საქმისმწარმოებელი. თანამშრომლებისა და მოსწავლეების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ასევე სკოლის მართვის ელექტრონულ სისტემაში - eschool, რომელზეც ხელი მიუწვდება მხოლოდ სკოლის დირექტორსა და საქმისმწარმოებელს.

ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით სკოლის ყველა მოსწავლესა და თანამშრომელს აქვს პირადი ელ.ფოსტა, რომელთა პაროლები მხოლოდ მათთვის არის ცნობილი, მასწავლებლებს აქვთ პირადი პროფილი eschool-სა და eflow-ში. მოსწავლეების შეფასებისთვის იყენებენ ელექტრონულ ჟურნალს onlineschool.emis.ge, რომელიც მიზნულია სკოლის ბაზაზე, ყველა მასწავლებელსა და მშობელს აქვს თავისი მომხმარებელი და პაროლი. შესაბამისად, მშობლებს ხელი მიუწვდებათ მხოლოდ თავიანთი შვილის ინფორმაციებზე.

როცა საჭირო ხდება სხვადასხვა ორგანოებისთვის პერსონალის პირადი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების მიწოდება, სკოლა მათგან იღებს შესაბამის თანხმობას, რომელიც დასტურდება ხელმოწერით, ასევე სკოლა მშობლებისგანაც იღებს თანხმობას პირადი ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით.

სკოლის კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები, მატერიალური ჟურნალები ინახება სკოლის არქივში. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა, იქნება ეს მატერიალური თუ ელექტრონული სახით, ხდება მხოლოდ თანამშრომელთან,

მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. სკოლაში ადმინისტრაციის კომპიუტერები დაცულია პაროლებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების მონიტორინგს და ანგარიშს წარუდგენს მრჩეველთა საბჭოს. მრჩეველთა საბჭოს მიერ მიწოდებული რეკომენდაციებს გათვალისწინება ხდება პროცესების გაუმჯობესების მიზნით, რაც დასტურდება მრჩეველთა საბჭოს ოქმებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმი
2. მიმართვა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ
3. სახანძროს აქტი
4. მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
5. პერსონალური მონაცემების დაცვის ინსტრუქცია
6. წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების თაობაზე
7. შინაგანაწესი
8. 2-20 ბრძანება პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ამ ეტაპზე ირიცხება 402 მოსწავლე. სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა აღნიშნული რაოდენობისთვის საჭირო საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით. სკოლას ავტორიზაცია მოთხოვნილი აქვს 650 მოსწავლეზე. ექსპერტები თანახმა არიან მოთხოვნილ მოსწავლეთა რაოდენობაზე იმ შემთხვევაში თუ სასწავლო პროცესი განხორციელდება ორ ცვლაში. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ახლად რეაბილიტირებულ შენობაში, რომელიც შედგება 4 ერთმანეთზე გადაბმული ორ და სამსართულიანი შენობებისაგან, რომელთაგან ერთს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვს მინიჭებული. სკოლაში არის 20 საკლასო ოთახი, 3 კაბინეტი/ლაბორატორია (ხელოვნებისა და მუსიკის კაბინეტი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია), 2 სპორტული დარბაზი (მცირე და დიდი) უზრუნველყოფილი სველი წერტილებით, მათ შორის საშხაპით. რეაბილიტაციის შემდეგ გაკეთდა სამედიცინო კაბინეტი, ბუფეტი. რეაბილიტაციის დროს მოხდა კაბინეტების განლაგების

შეცვლა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ფართი ვერ იტევს მოსწავლეთა რაოდენობას, ამიტომ სკოლამ აღნიშნულის თაობაზე აცნობა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს და შედგენილია ხარჯთაღრიცხვა და უახლოეს მომავალში იგეგმება ლაბორატორიის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. სპორტულ დარბაზებში, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიასა და ბუფეტში დამონტაჟებულია სავენტილაციო სისტემა. სკოლის შენობები უზრუნველყოფილია დენით, წყალმომარაგებით, ცენტრალური გათბობით, სველი წერტილებით.

სკოლის ეზო მოწესრიგებულია. სკოლის ეზოში არის ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი. ეზო შემოფარგლულია კაპიტალურად ნაშენი აგურის ღობით.

კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული 16 პერსონალური კომპიუტერი, რომელთაგან 10 არის მუშა მდგომარეობაში და 1 პროექტორი, სკოლას ახალი მიღებული აქვს 40 ლეპტოპი. სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეების უმრავლესობა აღჭურვილია კომპიუტერებით და პრინტერებით. სკოლა ასევე აქტიურად იყენებს პირველი კლასის დამრიგებლებისთვის გადაცემულ ბუკებს. სკოლაში დამონტაჟებულია ლიფტი, ხოლო შიდა სივრცეებში დამონტაჟებულია სპეციალური პლატფორმა. სკოლის მასწავლებლები თავისი ხარჯებით ახდენენ სასწვლო პროცესისთვის საჭირო რესურსების შეძენას, კლას-კაბინეტების მოხატვას. სკოლის შენობამ რეაბილიტაციის დროს განიცადა ფართის ცვლილება. ახალი ნახაზით ქონების მართვაში არ არის რეგისტრირებული. სკოლას წერილობითი მართვა თანხმობის მოპოვების თაობაზე გაგზავნილი აქვს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და ციფრული განვითარების გეგმა. ასევე ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სააქტო დარბაზში შესაძლებელია როგორც ღონიძირებების, ასევე სხვადასხვა სახის შეხვედრების ორგანიზება. სკოლის სპორტული დარბაზები და ღია სპორტული მოედანი სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ამ მიმართულებით განვითარების შესაძლებლობას, როგორც საგაკვეთილო ასევე მის შემდგომ პერიოდში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც შეიქმნა კანონმდებლობაზე დაყრდნობით. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც ინფრასტრუქტურულად გამართულია.

წიგნადი ფონდი შედგება მხატვრული, სამეცნიერო, ლიტერატურის, ლექსიკონების, ფოტო და სამხატვრო ალბომების, სხვადასხვა თემატიკის ენციკლოპედიების, საბავშვო ლიტერატურისაგან. სკოლას აქვს სასკოლო გეგმით დამტკიცებული ყველა გრიფირებული სახელმძღვანელოს საჭირო და საკმარისი რაოდენობა.

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. სკოლა ადგილობრივი რესურსცენტრიდან სისტემატურად იღებს დამხმარე მეთოდურ ჟურნალებს, გაზეთებსა და ბროშურებს. წიგნების აღრიცხვა ხდება სარეგისტრაციო ჟურნალში. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველ სამუშაო დღეს 09.00 დან 17.00 საათამდე.

სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებთან ფორმდება წიგნების გადაცემის ხელ-ეგები და მიღება-ჩაბარების აქტები. სასწავლო წლის განმავლობაში რამდენჯერმე მოწმდება სახელმძღვანელოების ვარგისიანობა.

სკოლის ბიბლიოთეკარი ჩართულია იმ პროექტებში, რომელიც წიგნიერებას უკავშირდება;

საბიბლიოთეკო ფონდის შევსება ხდება მაკულატურაში გადაცვლილი წიგნებით. ასევე კურდამთავრებული მოსწავლეების მიერ ნაჩუქარი წიგნებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასკოლო გეგმით გათვალისწინებული ინკლუზიური გარემოს შექმნას ხელს უწყობს ასევე ფიზიკური გარემოს ინკლუზიურობაც. შენობაში შესვლა შესაძლებელია დამონტაჟებული პანდუსით. ხოლო სართულებზე გადასადგილებლად სკოლაში დამონტაჟებულია ლიფტი, შენობიდან შენობაში გადასასვლელად დამონტაჟებულია სპეციალური პლატფორმა. ყველა საერთო სარგებლობის სივრცე ხელმისაწვდომია შშმ პირებისთვის. საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით. სკოლის ეზო კეთილმოწყობილია და წარმოადგენს რეკრეაციულ სივრცეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში გამოყენებულია ყველა სივრცე და ოთახი. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია ყველას, იგი ასევე გამოიყენება სხვადასხვა აქტივობებისთვის, კონკრეტული პროექტების აქტივობების დაგეგმისა და განხორციელებისთვის. სააქტო

დარბაზში იმართება კონფერენციები, ღონისძიებები წარმოდგენები, ინტელექტუალური თამაშები . სპორტულ მოედანზე იმართება სასკოლო შეჯიბრებები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
2. შენობის აზმოვითი ნახაზები
3. ინფრასტრუქტურის ფოტოები
4. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
5. სკოლის fb გვედი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, მუდმივი ინტერნეტით, მაგრამ აპარატურა რომელიც სკოლას აქვს დამონტაჟებული ვერ უზრუნველყოფს სკოლის მთელ ტერიტორიაზე ინტერნეტის მუდმივად მიწოდებას. ამის გამო სკოლამ დასახმარებლად მიმართა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას ცენტრალიზებული ქსელის დამონტაჟების თაობაზე. სკოლაში არსებული IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. ადმინისტრაციული მართვა და საქმისწარმოება მთლიანად ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით ხდება. სისტემატურად იყენებენ მასწავლებლები სასწავლო პროცესში ციფრულ ტექნოლოგიებს, ინტერნეტ რესურსებს. ინტერნეტითა და პერსონალური კომპიუტერებით უზრუნველყოფილია საერთო სარგებლობის სივრცეები, როგორცაა რესურს ოთახი, ბიბლიოთეკა, ექიმის ოთახი აღიჭურვება ახალი სასწავლო წლიდან. მასწავლებლებს გაკვეთილზე უწყვეტ ტელეფონის ინტერნეტით სარგებლობა ან უკვე ჩამოტვირთული ვიდეოების გამოყენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომელშიც გაწერილია კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა ასევე შემუშავებული კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი კლასებისა და დროის მითითებით. პერსონალური კომპიუტერები განთავსებულია ლაბორატორიაში, ხოლო ახლად მიღებული ლეპტოპების

გამართვა მოხდება ახალი სასწავლო წლიდან. ახლად მიღებული ლექტორების გამო ციფრული განვითარების გეგმაში საჭიროა ცვლილებების განხორციელება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი
2. ინვენტარიზაციის მასალები
3. ფოტოები
4. ციფრული განვითარების გეგმა

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. საქმისწარმოების წესში განსაზღვრულ პროცედურებს სკოლა ასრულებს ზედმიწევნით. წესის მიხედვით განსაზღვრულია, რა ტიპის დოკუმენტაცია იწარმოება სკოლაში. მასში გაწერილია: ბრძანების, ოქმი, ცნობის, წერილის გაფორმების პროცედურები; ჩამოთვლილია დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალების სახეობები; აღწერილია, როგორ ხდება შემოსული და გასული

დოკუმენტის რეგისტრაცია, ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების. სკოლის საქმისმწარმოებელთან ინტერვიუმ და დოკუმენტაციის მატერიალურად გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ სკოლა სრულად იცავს საქმისწარმოების დებულებით გათვალისწინებულ პროცედურებს. სკოლის დირექტორის გამოცემულ ბრძანებებში შეინიშნება ძალადაკარგული აქტებისა და ძირითად დოკუმენტებში შეტანილი ცვლილების ბრძანებით სარგებლობა. ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ბრძანების მომზადების წესის დარღვევა. სკოლას მიეცა რჩევა დირექტორის გამოცემული ბრძანებები მოყვანილ იქნეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისობაში. კერძოდ აკლია „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა, „ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანო“. სკოლას მიეცა რჩევა ისარგებლოს ზემდგომი ორგანოების მოქმედი ბრძანებებითა და ძირითადი კონსოლიდირებული კანონმდებლობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით. მოქმედებს დოკუმენტბრუნვის - eflow- ელექტრონული სისტემა, სადაც ხდება ყველა შემოსული და გასული დოკუმენტების, ბრძანებების გატარება, ნომრის მიცემა და შესაბამის ჟურნალში რეგისტრაცია. სკოლის ადმინისტრაცია აღჭურვილია გამართული კომპიუტერული ტექნოლოგიით.

დოკუმენტების მიღება და გაგზავნა შესაძლებელია სკოლის ელექტრონული ფოსტის, eflow-ს გამოყენებით ან/და მატერიალური ფორმით (საქართველოს ფოსტის მეშვეობით).

სკოლის ადმინისტრაცია მართვის პროცესში აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს, კერძოდ, პერსონალისთვის ინფორმაციის მიწოდება ხდება როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული არხების მეშვეობით. ტექნოლოგიები უფრო ეფექტურს ხდის მართვის პროცესს. პერსონალისგან ინფორმაციის მიღება, დახარისხება და ანალიზი ტექნოლოგიების გამოყენებით ზოგავს დროს, მატერიალურ რესურსს. სკოლის ადმინისტრაცია აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერებით.

ფინანსური საკითხებისა და ანგარიშგების კუთხით ყველა დოკუმენტაცია იტვირთება ელექტრონულ სისტემებში: rs.ge, spa.ge, pensions.ge, signature.emis.ge,

სასწავლო პროცესის მართვისა და შეფასების კუთხით გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი onlineschool.emis.ge, რომელშიც აისახება მოსწავლეთა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები.

სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად არის მოწესრიგებული და დაცული პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი მონაცემები. კერძოდ, სკოლაში ახალი თანამშრომლისა და მოსწავლის პირველ კლასში მიღებისას იხსნება მათი პირადი საქმე, ასევე თანამშრომელსა და სკოლას შორის იდება შრომითი ურთიერთობის ხელშეკრულება და ნომრის მითითებით ტარდება შრომითი ხელშეკრულების რეგისტრაციის ჟურნალში. თანამშრომლის პირად საქმეში ინახება პირადობის ასლი, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ, სერთიფიკატები და სხვა საჭირო ინფორმაცია.

მოსწავლის პირად საქმეში ინახება მისი დაბადების მოწმობის ასლი, მშობლების პირადობის ასლები და მათი საკონტაქტო ნომრები, ჯანმრთელობის ფორმა.

მოსწავლის პირადი საქმეში ყოველწლიურად ხდება შეფასება კლასიდან კლასში გადასვლასთან დაკავშირებით, რომელსაც ადასტურებს ხელისმოწერითა და ბეჭდით დირექტორი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი. სკოლაში იწარმოება ორი სახის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი: საერთო, საკადრო. სკოლა აწარმოებს თანამშრომელთა საათობრივი სამუშაოს აღრიცხვას. სკოლა მობილობით გადასული მოსწავლის პირადი საქმის დამოწმებულ ვერსიას ინახავს არქივში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. Eschool-ის ბაზაში დაცული მონაცემების წვდომის უფლება აქვს სკოლის დირექტორს, ბუღალტერსა და საქმისმწარმოებელს, დამრიგებელს-შესაბამის კლასზე. მათ გადანაწილებული აქვთ საქმიანობები თავიანთი მოვალეობების ფარგლებში. ბაზა წლის განმავლობაში მუდმივად ნახლდება. ყველა მოსწავლეზე ატვირთულია სრულყოფილი ინფორმაცია,

მათ შორის სსსმ მოსწავლეებზე, ყველა მათგანის პროფილში ასახული ინფორმაცია მათი მშობლების შესახებ, მისამართი, ტელეფონი და ა.შ. თანაშრომლების შესახებ ბაზაში მოცემულია ინფორმაცია მათი გამოცდილების, სტატუსების, ხელფასების შესახებ. სასწავლო წლის დასაწყისში კანონმდებლობის შესაბამისად ბაზაში აისახება საგაკვეთილო ცხრილი, მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა, სახელფასო ფონდი, ინფორმაცია კლასებისა და დამრიგებლების შესახებ, სამტატო განრიგი, ბიუჯეტი. ბაზაში დროულად აისახებ ინფორმაცია მოხილვის, კლასის და საფეხურის დაძლევის შესახებ, სტატუსის შეჩერება/აღდგენის, წარჩინებულებისა და მედალოსნების შესახებ. ბაზაში რეგისტრაციის მიხედვით ენიჭებათ/უწყდებათ უფლებამოსილება სამეურვეო საბჭოს წევრებს. ასევე აისახება ინფორმაცია არჩეული, ვარგისი და საჭირო სახელმძღვანელოების შესახებ. ბაზაში განსაზღვრულია პირველკლასელთა ლიმიტები და ასევე ასახულია დარეგისტრირებული მოსწავლეების მონაცემები.

სკოლის ბაზაზე მიბმულია სკოლის ელექტრონული ჟურნალი, რომელშიც სწორი ინფორმაციის დროულად ასახვა დამოკიდებულია ბაზების გამართულად მუშაობაზე. შესაბამისად, სკოლის ადმინისტრაცია ამ მიმართულებით მუშაობს კოორდინირებულად, რათა არ შეფერხდეს სასწავლო პროცესში ინფორმაციის დროულად ასახვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა კანონმდებლობის ფარგლებში აწარმოებს ანგარიშგების პროცედურებს ყველა დონეზე, როგორც სკოლის სტრუქტურებს შორის, ასევე სკოლის გარეთ. ყოველწლიურად დადგენილ ვადებში დირექტორი ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ანგარიში, საქართველოს მთავრობას, პარლამენტს, პრემიერმინისტრს - ინფორმაცია გაცემული საჯარო ინფორმაციის შესახებ.

სწავლის დასრულებიდან 5 დღის ვადაში ხდება საბაზო და საშუალო საფეხურის კურსდამთავრებულების შესახებ ინფორმაციის გადაგზავნა რესურსცენტრთან.

მოთხოვნების შესაბამისად, დროულად ხდება საჭირო ინფორმაციის მიწოდება რესურსცენტრისთვის, ყველა სტრუქტურული ერთეული კანონმდებლობით განსაზღვრული წესით იკრიბება და დადგენილ ვადებში, თავიანთი უფლება-მოვალეობის შესაბამისად, ახორციელებენ აქტივობებს მათი კომპეტენციის ფარგლებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საქმისწარმოების წესი
2. ბრძნებების სარეგისტრაციო ჟურნალი და ბრძანებების ნიმუში
3. ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი
4. შეცვლილი გაკვეთილების ჟურნალი
5. თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების ჟურნალი
6. დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს
7. ფინანსური ანგარიში
8. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის დასკვნა

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დირექტორის 2024 წლის 12 მარტის #2-27 ბრძანებით დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი. მასში გაწერილია საზოგადოებასთან ურთიერთობის ზოგადი პრინციპები, ინფორმაციის გავრცელების ინტერნეტრესურსები, შიდა და გარე კომუნიკაციის წესი, რომელიც თავისი მხრივ მოიცავს თანამშრომლებთან კომუნიკაციას, მოსწავლეებთან კომუნიკაციას, ვიტორების და შიდა შეხვედრების წესებს, გარე შეხვედრებსა და აქტივობებში ჩართულობას. ასევე გაწერილია სკოლის თანამშრომლების ვალდებულებები საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში.

სკოლა ცდილობს საზოგადოებასთან ეფექტური ურთიერთობების დამყარებას და ზრუნავს მის შენარჩუნებაზე.

სკოლა საზოგადოებასთან შესაბამისი და დროულად ინფორმაციის მისაწოდებლად მუდმივად იყენებს სკოლის ვებგვერდს skolebi.emis.ge –ზე, ელექტრონულ ფოსტას samtredial2@mes.gov.ge და Facebook ოფიციალურ გვერდს. თანამშრომლებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, გამოიყენება სატელეფონო კავშირი, სკოლის ვებგვერდი და სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა და სკოლის ღია სივრცეში განთავსებული საინფორმაციო დაფა, სადაც ქვეყნდება ინფორმაცია.

მოსწავლეებისთვის ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს კონკრეტულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი.

მოსწავლეებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება სკოლის ელექტრონული ჟურნალი, teams, ელ.ფოსტა, ვებგვერდი, სოციალური ქსელი, სკოლის შენობის ღია სივრცე, სადაც გამოიკვრება შესაბამისი ინფორმაცია, სატელეფონო კავშირი. ასევე ინფორმაციის მიწოდება პირდაპირი კომუნიკაციის გზით ხდება საკლასო ოთახებში ან შეხვედრის ორგანიზებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ ნებისმიერი საკომუნიკაციო არხით გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. სკოლაში ინფორმაცია ძირითადად შემოდის eflow-ში და ელექტრონულ ფოსტაზე. ელექტრონულ ფოსტაზე გარეშე პირისგან შემოსული ინფორმაცია ზუსტდება და მხოლოდ ამის შემდეგ ვრცელდება და ქვეყნდება. სკოლა ასევე ინფორმაციას იღებს მხოლოდ კონკრეტული ორგანიზაციებისა თუ სტრუქტურების ოფიციალური ვებ და ფბ გვერდებიდან. შესაბამისად, მიღებული ინფორმაციის გასავრცელებლად სკოლა იყენებს ოფიციალურ ვებ და ფბ გვერდებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სკოლა უკუკავშირს ძირითადად იღებს ელექტრონულ ფოსტაზე და სკოლის ფბ გვერდზე, ასევე მშობლებთან შეხვედრებზე. სკოლა მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებს ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას.

მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული არჩევითი საგნების არჩევის პროცესში, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი ოქმებით, სკოლა თავაზობს არჩევითი საგნების ჩამონათვალს და მოსწავლეები აკეთებენ არჩევანს. ხოლო მე-5 კლასიდან მეორე უცხო ენის არჩევის შემთხვევაში სკოლა თავაზობს მშობლებს ორ უცხო ენას გერმანულ ენასა და რუსულ ენას, მშობლები აკეთებენ არჩევანს და კლასი კომპლექტება არჩევანის მიხედვით. ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე.

უკუკავშირს მიღება ხდება ასევე მშობელთა კრებებზე, სადაც მშობლები ეცნობიან მარეგულირებელ დოკუმენტებს, სამოქმედო გეგმებს და მათგან მიღებულ რეკომენდაციებს ითვალისწინებენ შემდგომი ცვლილებებისთვის. მოსწავლეების უკუკავშირი მიიღება როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით.

მოსწავლეთა თვითმმართველობა ძირითადად წერილობით წარმოადგენს ხოლმე ინიციატივებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლას აქვს ვებგვერდი skolebi.emis.ge- ზე. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, შესაბამისად, ყველა ინფორმაცია გამოქვეყნებულია ქართულ ენაზე. სიახლეები და მიმდინარე პროექტების/ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია აქტიურად ქვეყნდება სკოლის fb გვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ქონდა ვებგვერდის სრულყოფა 01.09.2024 წლითვის. ვინაიდან ვიზიტის დროს გადამოწმდა სკოლის ვებგვერდი და მასზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია, რაც სტანდარტით არის გათვალისწინებული ექსპერტების მიერ შეფასდა სრული შესაბამისობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

➤ დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი,
2. სკოლის ვებ და ფბ გვერდები
3. არჩევითი საგნების ოქმები
4. მშობელთა ოქმი მეორე უცხოური ენის არჩევის თაობაზე
5. სკოლის ვებ და ფბ გვერდები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ბიუჯეტი, რომლის ცალკეული კომპონენტებში გათვლილი ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს ერთწლიანი სამოქმედო გეგმითა და სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით ხდება სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობი მატერიალური რესურსისა და სხვა დამხმარე საშუალებების შეძენა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ბიუჯეტს დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის სამეურვეო საბჭო. დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს ფინანსურ მართვას. ყოველი წლის ბოლოს დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ბიუჯეტის ხარჯვის ანგარიშს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძ 2-157(16 ნოემბერი, 2023წ)
2. ბრძ N2-158(17 ნოემბერი, 2023წ)
3. ბრძ N2-15 (27 თებერვალი, 2024წ)
4. ბაზრის კვლევის ნიმუში
5. კათედრის საჭიროების განაცხადი
6. სამეურვეოს ოქმი ბიუჯეტის ცვლილებაზე.

7.ბრძანება შესყიდვების ცვლილებაზე.

8.ბუღალტერის წერილი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები, როგორცაა სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, სკოლის ყველა თანამშრომელი თავისი მიმართულებით ახდენენ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფას. სკოლას შექმნილი აქვს რამდენიმე მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლებიც ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობასა და ბავშვის უფლებების კონვენციას: შინაგანაწესის მე-19 მუხლი ეხება მოსწავლის მიმართ დისციპლინური წარმოების წესს. აღნიშნულ მუხლში დაწვრილებით არის გაწერილი, დისციპლინური საქმისწარმოების დროს როგორ არის მოსწავლის უფლებები დაცული, რომ არ მოხდეს მისი ღირსების შელახვა და სასწავლო პროცესისგან ჩამორჩენა. შინაგანაწესის მე-11 მუხლი მოიცავს მოსწავლის წახალისების ფორმებსა და გამოყენების წესს.

დირექტორის 2024 წლის 2 აპრილის # 2-33 ბრძანებით დამტკიცებულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესები, რომელიც მოიცავს სკოლის შიდა გამოცდის შედეგების გასაჩივრების პროცედურებს. 2024 წლის 16 ივლისის სამეურვეო საბჭოს #9 ოქმით დამტკიცებულია სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურები. ხოლო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული დხელშეკრულებები ითვალისწინებს მათ უფლება-მოვალეობებს. პერსონალური მონაცემების დაცვის წესი ეხება არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავებას, დაწვრილებით არის გაწერილი, მოსწავლისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის რომელი მონაცემი შეიძლება დამუშავდეს, დოკუმენტი ასევე მოიცავს მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვას ელექტრონულ ჟურნალში, TEAMS-ის პლატფორმაზე, ვიდეოთვალთვალის, აუდიომონიტორინგის, პირადი საქმეებისა და ელექტრონული ბაზების დამუშავების დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტები სკოლას განთავსებული აქვს ვებგვერდზე. მოსწავლის უფლებების დაცვის საკითხებზე აქტიურად მუშაობენ დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფორმატში. სასწავლო წლის დასაწყისი სკოლა უზრუნველყოფს ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდებას მშობლებისა და

მოსწავლეებისათვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის ყველა საფეხურის მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს ორი ტიპის ხელშეკრულება:

1) ხელშეკრულება, რომლის საფუძველია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 6¹ პუნქტი. აღნიშნული ხელ-ბა დაწვრილებით მოიცავს სკოლის, კანონიერი წარმომადგენლისა და მოსწავლის უფლებებსა და ვალდებულებებს.

2) ხელშეკრულება სასკოლო სახელმძღვანელოების უსასყიდლოდ დროებით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე. ხელშეკრულებით განსაზღვრულია მხარეების უფლება-მოვალეობები სახელმძღვანელოებით სარგებლობასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება
2. კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება სახელმძღვანელოების გადაცემის შესახებ
3. შინაგანაწესი
4. სასკოლო სასწავლო გეგმა
5. პერსონალური მონაცემების დაცვის მეთოდოლოგია
6. სკოლის ვებ-გვერდი, საინფორმაციო დაფა
7. განცხადებისა და საჩივრების განხილვის წესი
8. უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი
9. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის დოკუმენტი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული და სკოლის დირექტორის 2023 წლის 26 დეკემბრის #2-180 ბრძანებით დამტკიცებული აქვს: მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი, რომელიც არეგულირებს შემდეგ საკითხებს: პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრას, პირველ კლასში მოსწავლის რეგისტრაციის, ჩარიცხვისა და საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის პროცედურებს, სხვა კლასებში ჩარიცხვის წესს, კლასში რიცხოვნობის განსაზღვრას, სკოლაში უცხოეთში მიღებული ზოგადი განათლების მიმღების მოსწავლის ჩარიცხვის წესს, მოსწავლის სტატუსის შეჩერებას.

ვიზიტის დროს მოვახდინეთ საფეხურის დაძლევისა და პირველკლასში მოსწავლეთა ჩარიცხვის ბრძანებებისა და დოკუმენტების გადამოწმება. პროცედურები განხორციელებულია კანონმდებლობის დაცვით, მაგრამ ბრძანებებში შეინიშნება ძალადაკარგული სამართლებრივი აქტების გამოყენება, სკოლას აღნიშნულთან დაკავშირებით მიეცა რჩევა ექსპერტების მხრიდან მე-3 სტანდარტის 3.6.2.1 ინდიკატორში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

